ეპისკოპოსი მარკუს შოხი*

რელიგიები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე

მიდის თუ არა საქართველოში არსებული რელიგიური ჯგუფების განვითარების გზა ევროინტეგრაციისკენ? დგას თუ არა საქართველო ამ ბილიკზე? რა უნდა იმოქმედონ რელიგიურმა გაერთიანებებმა ამ მიზნით? ეს უფრო პოლიტიკოსებისა და პოლიტიკის მსჯელობის საგანი ხომ არაა, ვიდრე სულიერი ლიდერების? ერთი მხრივ, ჭეშმარიტებაა, რომ ევროინტეგრაცია არის პოლიტიკური განსჯის საგანი და ქართული საზოგადოების შიგნით უნდა იქნეს განხილული. მეორე მხრივ, რელიგია თავის თავში პოლიტიკას რომც არ მოიცავდეს, რელიგიაზე პოლიტიკური ზეგავლენის უარყოფა შეუძლებელია.

რა არის რელიგიის ძირითადი განსახილველი საკითხი? უპირველეს ყოვლისა მისი მიზანი ადამიანური და ზეციური ურთიერთობის განხილვაა. ჩემთვის, როგორც ქრისტიანისთვის, ეს არის კაცობრიობასა და ღმერთს შორის ურთიერთობა, რომელიც გამოხატულია ღმერთის სამებითა, – მამის, ძის და სულიწმიდის სახით და გადმოცემულია ბიბლიაში. მაგრამ, ამავე დროს, იგი ემყარება ადამიანურ ურთიერთობებს საზოგადოებაში. როგორც ქრისტიანებს, ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი ზრუნავს არა მარტო ჩვენ ურთიერთობებზე მასთან, არამედ, ასევე, ადამიანებს შორის, ერთმანეთთან ურთიერთობებზე. ღმერთის მიზანია ყველა ადამიანის კეთილდღეობა. ამისათვის უფალმა მოგვცა მცნებები. ისინი უბრალოდ აბსტრაქტული ხასიათის ნორმები არაა, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ, ვინაიდან ისინი წმინდა და უზენაესი ძალის მიერაა დადგენილი. მცნებები არის რეგულაციები, რომლებიც გვეხმარება, გვქონდეს უკეთესი ცხოვრება და სრულყოფილ ადამიანობას მივაღწიოთ.

ამ მხრივ, ბიბლიის სწავლებებს აქვთ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა. ეს ნათლად ჩანს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების მაგალითზე. ისინი ჩართული იყვნენ იმდროინდელ პოლიტიკაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამართლიანობას ექმნებოდა საფრთხე. ისინი ხმას იმაღლებდნენ ღარიბი და დაუცველი ხალხის დასაცავად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ სახელმწიფო მმართველობის გარკვეული ფორმის აღება ბიბლიიდან შეუძლებელია. ბიბლია არ იცნობს დემოკრატიას იმ სახით, როგორც ის დღეს ჩვენ ვიცით. მაგრამ ბიბლია გვაძლევს განსჯის კრიტერიუმებს, თუ მმართველობის რომელი ფორმა მიესადაგება ბიბლიურ მოთხოვნებს.

ევროპის პროტესტანტული ეკლესიების გაერთიანებამ გასული წლის გენერალურ ასამბლეაზე, შვეიცარიაში, მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად, დემოკრატიული სტრუქტურები და პრინციპები „უნდა ეთანხმებოდეს ღმერთის მიერ დადგენილი ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის ღირებულებებს. ადამიანის ცოდვილი და დაცემული ბუნებიდან გამომდინარე, ძალაუფლების წყა-

* საქართველოს და სამხრეთ კავკასიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი.

რო იყოფა, იზღუდება და კონტროლქვეშ ექცევა. კანონიერების პრინციპზე დაფუძნებული ინსტიტუტები იცავენ ინდივიდთა თავისუფლებას და უზრუნველყოფენ მშვიდ თანაცხოვრებას. პროტესტანტიზმი მხარს უჭერს დემოკრატიულ ჩართულობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას, როგორც კარგი სამეზობლო და მშვიდობიანი თანამშრომლობის საფუძველს ევროპის ფარგლებში“[1].

ევროპის პროტესტანტული ეკლესიების გაერთიანების რეზოლუციის თანახმად, არსებული დემოკრატიული ღირებულებები თანხვედრაშია ბიბლიურ ღირებულებებთან, შესაბამისად, ქრისტიანული ეკლესიები მხარს უჭერენ დემოკრატიას.

სამწუხაროდ, საქართველოში, ევროპასა და მსოფლიოში დემოკრატიული ღირებულებები და პრინციპები არ არის თვითმყოფადი და მათ მიმართ მრავალი გამოწვევა დგას სხვადასხვა შეხედულების გამო. ზემოხსენებული რეზოლუცია ადგენს, რომ „დემოკრატია და კანონიერების პრინციპი ამჟამად განიცდის ზეწოლას ევროპის ქვეყნებში. (მაგრამ) ევროპის პროტესტანტული ეკლესიები მხარს უჭერენ დემოკრატიულ სტრუქტურებს და პრინციპებს და ცდილობენ, გააძლიერონ ისინი სხვადასხვა სახელმწიფოებრივ დონეზე ევროპის ქვეყნებში. (...) თუმცა ზემოხსენებული ინსტიტუტების გარდა, საჭიროა პოლიტიკურად აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც დემოკრატიას და კანონიერებას დაიცავს“[2].

დავუბრუნდეთ თავდაპირველ კითხვას: შეუძლია რელიგიას შეიტანოს განსაკუთრებული წვლილი საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაში? არსებობს თუ არა „რელიგიური“ პასუხი ამ კითხვაზე? ეს არ არის ის შემთხვევა, როდესაც „ევრო-ატლანტიკურში“ მხოლოდ გეოგრაფიულ მიმართულებას ვგულისხმობთ. ამაზე „რელიგიური“ პასუხი არ გაიცემა. აირჩევს თუ არა საქართველო განვითარების დასავლურ, ჩრდილოურ, აღმოსავლურ თუ სამხრეთულ გზას, ანდა გახდება თუ არა საქართველო რომელიმე ხელშეკრულების ან ორგანიზაციის წევრი ქვეყანა – ამ კითხვაზე აშკარა „რელიგიური“ პასუხი არ არსებობს. ჩვენი რელიგიური რწმენის გზა მიდის ღმერთის სამეფოსკენ და არა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ალიანსისკენ. ეს უპირველესად პოლიტიკური შეკითხვაა და უნდა გადაწყდეს გონივრულად მხოლოდ პოლიტიკოსების მიერ.

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ „ევრო-ატლანტიკურ“ ინტეგრაციას ვხედავთ, როგორც დემოკრატიული ღირებულებების, პრინციპების და კანონიერების დაცვის საშუალებას, მაშინ ჩვენ, როგორც ეკლესიამ, ამ პოზიციას მხარი უნდა დავუჭიროთ. ამ დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ზემოხსენებული ღირებულებების არსებობა თავისით არ მოდის. ჩვენ მოგვიწევს მათი დაცვა, ჩვენ უნდა ვაშენოთ ეს ღირებულებები ყოველდღიურად. ამ მიზნით, ბიბლიური პრინციპები და ღირებულებები კარგი სახელმძღვანელოა. ჩვენ, როგორც ეკლესია, ვალდებულიც ვართ, ამ პროცესში მონაწილეობა მივიღოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ სოციალური

[1] „ერთად ევროპისთვის: საუკუნე გასულა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ – გავიხსენოთ ერთად მშვიდობიანი მომავლისთვის“. პროტესტანტული ეკლესიების ერთობლივი გზავნილი, მიღებული ევროპის პროტესტანტული ეკლესიების გაერთიანების (CPCE) გენერალური ასამბლეის მიერ 2018 წლის სექტემბერში ბაზელში (შვეიცარია).

[2] იქვე.

და პოლიტიკური სამართლიანობის განხორციელებასა და ამ პროცესში ყველას თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფაში, განვავითაროთ უფლის ქმნილება და პატივი ვცეთ ადამიანურ ღირსებას. ამ ყველაფრით ჩვენ გავყვებით წინასწარ-მეტყველის მიერ მოცემულ რჩევას: „შესთხოვეთ მშვიდობა იმ ქალაქისათვის“ (იერემია, 29:7).